საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები,

ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

I.1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარა და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა, უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით(განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წწ.), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", „საქართველოს სს რესპუბლიკა", „საქართველოს სსრ" შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა".

3. მე-4 თავის დასახელებასა და პირველი, მე-4, მე-60, 64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური", ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო".

4. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა".

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „... კომუნისტური პარტია, სხვა ...“,

ბ) 25-ე მუხლიდან „... ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას ...“,

გ) 36-ე მუხლიდან „... რევოლუციურ თუ ...“,

დ) 45-ე მუხლიდან „... კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად ...“,

ე) 57-ე მუხლიდან „... პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას“,

ვ) 62-ე მუხლიდან „... საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს...“.

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე".

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს .

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი."

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში - ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი - ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი".

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3: 5 , თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე - დროშის სიგრძის 2/5".

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო".

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან-მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია".

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

თბილისი.
1990 წლის 14 ნოემბერი.
10-I ს.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

З А К О Н

РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

Об объявлении переходного периода в Республике Грузия

Верховный Совет Республики Грузия, объявляя переходный период в Республике Грузия, в течение которого должны быть подготовлены основы восстановления государственной независимости Грузии, п о с т а н о в л я е т :

Внести в Конституцию (Основной Закон) Грузинской ССР следующие изменения:

I.I. Сформулировать преамбулу в следующей редакции:

Государственность Грузии, берущая свое начало из глубины веков, была утрачена ею в начале XIX века вследствие вмешательства посторонней силы.

Грузинский народ никогда не мирился с утратой государственности.

В 1917 году была свергнута Российская империя, что дало грузинскому народу возможность провозглашением 26 мая 1918 года Акта о независимости восстановить государственность, упраздненную российским самодержавием более века назад.

Грузинская нация осуществила свою волю 12 марта 1919 года, когда на первом заседания учредительного собрания признала и подтвердила перед страной и историей акт полученной ранее независимости, а затем, 21 февраля 1921 года, приняла Конституцию Грузии.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

В феврале-марте 1921 года Советская Россия, грубо нарушив Мирный договор от 7 мая 1920 года, путем вооруженной агрессии оккупировала Грузию, что в дальнейшем привело к фактической ее аннексии.

Весь период принудительное нахождение Грузии в составе Советского Союза отмечен кровавым террором и репрессиями (особенно в 1924, 1936-1938, 1949-1951, 1956 годах), последним проявлением чего была трагедия 9 апреля 1989 года. Это событие подняло на качественно новый уровень национально-освободительное движение ы Грузии.

Один из важнейших этапов национально-освободительного движения завершился 28 октября 1990 года, когда в многопартийных, демократических выборах Верховного Совета Грузии победили национальные силы. Тем самым начался переломный период, который должен увенчаться восстановлением полной государственной независимости Грузии.

До выработки новой Конституции существующая Конституция Грузии с соответствующими изменениями и дополнениями будет действовать в соответствии с требованиями переходного периода как временный Основной Закон Республики Грузия.

Переходный период - важнейший этап национально-освободительного движения, за это время должны быть подготовлены реальные основы восстановления полной государственной независимости Грузии.

2. Слова "Грузинская Советская Социалистическая Республика", "Грузинская ССР" в наименовании и тексте Конституции заменить, соответственно, словами "Республика Грузия".

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

3. Исключить из наименования главы 4, из статей I,4, 60, 64 слово "социалистический", а в статьях 37, 48 и 59 - заменить его словом "государственный".

4. Исключить из статей 4, 35, 37 и 60 слово "советский".

5. Исключить из статей 4, 35, 37 и 57 слова "Конституция СССР".

6. а) исключить из статьи 6 слова "... Коммунистическая партия, другие....",

б) из статьи 25 - "... служит коммунистическому воспитанию молодежи...",

в) из статьи 36 - "... революционном и ...",

г) из статьи 45 - "... в соответствии с целями коммунистического строительства...",

д) из статьи 57 - "... уважать правила социалистического общежития, с достоинством нести высокое звание советского гражданина",

е) из статьи 62 - "... Советского многонационального государства...".

7. а) наименование главы 7 Конституции изложить в следующей редакции: "Положение Республики Грузия в составе СССР";

б) статью 68 изложить в следующей редакции:

"Республика Грузия - наследница суверенной Демократической Республики Грузии. Она насильственно введена в состав Союза ССР. Исходя из этой реальности, Республика Грузия вынуждена в течение переходного периода обеспечивать за Союзом ССР в лице его высших органов государственной власти и управления права, определенные статьей 73 Конституции СССР, за исключением компетенции, определенной пунктами 3, 4 и II настоящей статьи.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

За вышеуказанными пределами Республика Грузия самостоятельно осуществляет государственную власть на своей территории";

в) статью 77 изложить в следующей редакции:

"На территории Республики Грузия действуют законы Республики Грузия и законы Союза ССР. Верховный Совет Республики Грузия приостанавливает действие законов и подзаконных актов Союза ССР на территории Республики Грузия, если они противоречат законам и интересам Республики Грузия.

В случае расхождений между Законом Республики Грузия и Законом Союза ССР на территории Республики Грузия действует Закон Республики Грузия".

г) статью 180 изложить в следующей редакции:

"Государственный герб Республики Грузия представляет собой национальную орнаментированную семиконечную звезду; золотистый орнамент звезды окружен черной каймой. Пространство между краями - кизилового цвета.

В центре звезды помещается круглый грузинский щит с полем кизилового цвета, на котором изображен Тетри Гиорги на белом коне с золотыми копытами. В правой руке он держит изготовленное к бою золотое копье с серебряным наконечником, а с левой - щит с золотой полоской.

На Тетри Гиорги надеты алые шаровары и обувь золотистого цвета. На нем броня голубого цвета в серебристую клетку и белая накидка. Из-под брони видна рубаха коричневого цвета.

Под седлом коня Тетри Гиорги - тигровая шкура, седло- золотое, уздечка - серебряная.

Над головой Тетри Гиорги сияет восьмиконечная серебристая звезда; справа от звезды - серебристая луна, а с левой - золотистое солнце. Вдоль луны и солнца расположены по две восьмиконечные звезды.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

Под конем изображение горной вершины";

д) статью I8I изложить в следующей редакции:

"Государственный и национальный флаг Грузии представляет собой ткань кизилового цвета прямоугольной формы, на которой со стороны древка, в верхнем углу, - черная (сверху) и белая (снизу) полоски.

Соотношение ширины флага с его длиной - 3:5, ширина каждой полоски (черной и белой) равна I/5 флага, а длина - 2/5 длины флага";

е) статью I82 изложить в следующей редакции:

"Государственный гим Республики Грузия утверждает Верховный Совет Грузии".

8) Исключить из Конституции статьи 3, 9, I4, I5, I6, 20, 23, 29, 30 и 6I целиком, а также части вторые статей 8 и 34 и второе предложение статьи 58.

9. Статью 28 Конституции Республики Грузия изложить в следующей редакции:

"Статья 28.

Во внешнеполитической деятельности Республика Грузия руководствуется принципами международного права и законодательством Республики Грузия.

В Республике Грузия пропаганда войны запрещена".

II. Настоящий Закон вступает в силу с момента принятия.

Председатель Верховного Совета
Республики Грузия З.Гамсахурдиа.

Тбилиси.
I4 ноября I990 года.

N10-Ic

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვ ი ო ლ ი ტ ა ს ა ნ ი ძ ე

1990 წ. „14" თებერვალი

საქართველოს კონსტიტუციის
28-ე მუხლი ჩამოერთვა
შემდეგ [redacted] სიტყვით:

საქართველოს სუბიექტურ სამართლებრივ საქმიანობაში ნებისმიერ ადამიანს საფრთხეს ექმნება საქართველოს ეროვნული ინტერესები და საქართველოს სუბიექტების ეკონომიკური.

საქართველოს სუბიექტებში აუცილებელია ერთიანობა.

ლ. ვოლსკი

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საფუძვლები, და ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

I.1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარა და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა, უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წწ.), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც

იყო

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე".

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

~~საქართველოს ხელისუფლების კანონიერებაზე სსრ კავშირის კანონის გავრცელების შეჩერებისა საქართველოს ხელისუფლების ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს ხელისუფლების კანონი~~

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში - ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრის გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი - ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

(5) 9. 28. ; ბუნება [illegible] [illegible]

„ბუნება 28.

[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი".

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ხემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3 : 5 , თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე - დროშის სიგრძის 2/5".

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო".

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლების-მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება

9.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

[illegible] /ა.

2. [illegible] /ბ.

3. [illegible] /[illegible]

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

ბეჭდი 2 ფ.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს და ამასთან დაკავშირებით **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

I.1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

(~~ტექსტი მგავდებეს~~)

[illegible] საქართველო [illegible] საუკუნეზე მეტი ხანის [illegible], სადაც XIX საუკუნის დასასრულიდან [illegible] ~~[illegible]~~ [illegible] ფორმირდა.

ქართული ხალხი [illegible] [illegible] [illegible].

1917 წლის [illegible] [illegible], [illegible] ხალხი [illegible] 1918 წლის 26 მაისს ~~[illegible]~~ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

ქართველმა ერმა [illegible] [illegible] 1919 წლის 12 მაისს, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

47.

ეროვნული ფინანსები

ისევე, როგორ ფიზიკურ პირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი

პოლიტიკა.

ასევე კონსტიტუციის შეუსაბამობა, საქართველოს სისტემა

კონსტიტუციასა, საგადასახადო ადმინისტრირებასა და ადამიანის,

გასაჩივრების უფლების შეზღუდვას წესრიგში, ისევე საქართველოს

კანონმდებლობის ძირითადი ნორმა.

გასაჩივრების უფლება არის ეფექტიან-გონივრულ ვადაში

ძალაში უფლებამოსილი ორგანო, რომელიც გონივრულობაზე უფლი

შეზღუდვის საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული

ორგანოს ნაკლოვანებები.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“.

3. მე-4 თავის დასახელებასა და პირველი, მე-4, მე-60, 64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“, ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „...კომუნისტური პარტია, სხვა...“,

ბ) 25-ე მუხლიდან „... ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას...“,

გ) 36-ე მუხლიდან „... რევოლუციურ თუ...“,

დ) 45-ე მუხლიდან „... კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად...“,

ე) 57-ე მუხლიდან „... პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას“,

ვ) 62 მუხლიდან „... საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს...“.

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში, ამრეალობიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე".

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები. საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართულიფარი, ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში - ოქროსზოლიანი ფარი.

საქართველოს პარლამენტის არქივი * www.parliament.ge /archive * Georgian Parliament Archive

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოდან მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი - ვერცხლისაა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის (3 : 5) თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე - დროშის სიგრძის 2/5.

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო.

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლების მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.